1717/57
07.08.12

ბიძინა ივანიშვილს

როგორც მოგეხსენებათ, სახელმწიფო აუდიტის სამსახური, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ საქართველოს ორგანული კანონით" მონიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, პოლიტიკური დაფინანსების კანონიერებასა და გამჭვირვალობაზე ახორციელებს მონიტორინგს.

ოფიციალურად მოპოვებული ინფორმაციით დადასტურებულია, რომ 2012 წლის განმავლობაში, სს „ბანკი ქართუში" არსებულ თქვენი პირადი ანგარიშებიდან, თქვენი დავალებით, ფიზიკურმა პირმა ნოდარ ჯავახიშვილმა ნაღდი ფულის სახით სოლიდური თანხა გაიტანა. ამ უკანასკნელის მიერ დასახელებულ პერიოდში განაღდებული თანხა შედაგენს 2.918.500 აშშ დოლარს, 735.189.00 ლარს და 700 ევროს.

რადგან საჯაროდ განცხადებული საარჩევნო მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 26[1] მუხლით გათვალისწინებული სუბიექტს წარმოადგენთ და ამავდროულად პოლიტიკური დაფინანსების კანონის არაერთგზის დარღვევის გამო, თქვენზე ვრცელდება ორგანული კანონით დადგენილი ფინანსური გამჭვირვალობის წესი, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა მოგთხოვათ წარმოგედგინათ დოკუმენტურად დადასტურებული ინფორმაცია ამ თანხით განხორციელებული საქმიანობისა და გაწეული ხარჯების შესახებ, რათა დადასტურებულიყო რამდენიმე მილიონი ლარის ხარჯვის მიზნობრიობის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის ფაქტი. მოთხოვნის მიუხედავად, თქვენს მიერ გაწეული ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტაცია სახელმწიფო აუდიტის სამსახურში არ წარმოგიდგენიათ.

რადგან სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიზანია დარღვევების პრევენცია და არა სანქციების გამოყენება, პოლიტიკური დაფინანსების გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით მოგმართავთ წინადადებით, 2012 წლის განმავლობაში, თქვენი და თქვენი მეუღლის პირადი ანგარიშებიდან ნაღდი ფულის სახით გატანილი 2.918.500 აშშ დოლარი, 735.189.00 ლარი და 700 ევრო დააბრუნოთ უკან თქვენს კუთვნილ საბანკო ანგარიშებზე 2012 წლის 9 აგვისტომდე.

ნათია მოგელაძე

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის
პოლიტიკური პარტიების ფინანსური მონიტორინგის
სამსახურის უფროსი

17/6/57
07.08.12..

კახა კალაძეს

როგორც მოგეხსენებათ, სახელმწიფო აუდიტის სამსახური, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ საქართველოს ორგანული კანონით" მონიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, პოლიტიკური დაფინანსების კანონიერებასა და გამჭვირვალობაზე ახორციელებს მონიტორინგს.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ოფიციალურად მოპოვებული ინფორმაციით დადასტურდა, რომ 2011 წლის ნოემბრიდან დღემდე, საქართველოში ლიცენზირებულ ბანკებში არსებულ თქვენს პირად ანგარიშებზე სხვადასხვა წყაროებიდან ჩაგერიცხათ 7.073.185 ლარი. ჩარიცხული თანხის დიდი ნაწილი თქვენი ანგარიშებიდან გატანილია ნაღდი ფულის სახით, რომლის ხარჯვის მიზნობრიობა გაურკვეველია, რადგან თანხები გატანილია დანიშნულების მითითების გარეშე. ფინანსური დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად ნაღდი ფულის სახით გატანილი თანხა, რომლის დანიშნულება შესწავლილი ტრანზაქციებით ვერ დასტურდება, შეადგენს 3.388.992 ლარს.

თქვენი საჯაროდ განცხადებული საარჩევნო მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე წარმოადგენთ „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 26[1] მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტს, (რასთვისაც კანონის შესაბამისად დამატებით ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრაცია არ არის საჭირო, როგორც ამას თქვენი ინტერესების დამცველი ადვოკატი აცხადებს). შესაბამისად, თქვენზე ვრცელდება ორგანული კანონით დადგენილი ფინანსური გამჭვირვალობის წესი.

აღნიშნულის საფუძველზე, თქვენი ანგარიშებიდან ნაღდი ფულის სახით გატანილი თანხების ხარჯვის მიზნობრიობის საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობაზე გონივრული რწმუნების მისაღებად, სახელწიფო აუდიტის სამსახურმა მოგცათ წინადადება წარმოგედგინათ დოკუმენტალურად დადასტურებული ინფორმაცია, ამ თანხით განხორციელებული საქმიანობისა და გაწეული ხარჯების შესახებ, რაზეც სრულიად დაუსაბუთებელი უარი განაცხადეთ..

რადგან სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიზნია დარღვევების პრევენცია და არა სანქციების გამოყენება, პოლიტიკური დაფინანსების გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნებიდან გამომდინარე, მოგმართავთ წინადადებით, 2012 წლის განმავლობაში, თქვენი საბანკო ანგარიშებიდან ნაღდი ფულის სახით გატანილი 3.388.992 ლარი დააბრუნოთ უკან თქვენს პირად საბანკო ანგარიშზე 2012 წლის 9 აგვისტომდე.

ნათია მოგელაძე

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის
პოლიტიკური პარტიების ფინანსური მონიტორინგის
სამსახურის უფროსი